

თანატოლების დამოკიდებულება სპეციალური საგანმანათლებლო
საჭიროებების მქონე თანატოლებისადმი

ფიქრია კერელიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული , ფსიქოლოგიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

აბსტრაქტი

კვლევის მთავარი მიზანია აღწეროს ტიპიური განვითარების მოსწავლეების დამოკიდებულებები, შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე თანატოლების/კალსელების მიმართ ინტერპერსონალური გამოცდილების გათვალისწინებით.

ინკლუზიური განათლების მოდელის საყოველთაო აღიარებამ წარმოქმნა როგორც მასწავლებლების, ასევე თანატოლების დამოკიდებულებების ინტერესი.

ნაშრომში მიმოხილულია სამეცნიერო ლიტერატურა და თემის შესახებ მოცემულია ჩატარებული კვლევა, რომელიც წარმოადგენს მიმოხილვას, აღწერას მოსწავლეთა დამოკიდებულებებისა, შეზღუდული შესაძლებლობების და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე თანატოლების მიმართ.

კვლევა ჩატარდა თბილისის #72 საჯარო სკოლასა და #99 საჯარო სკოლაში. #72 საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე მოსწავლეთა ინტეგრირებული კლასი. კვლევის მონაწილეთა ასაკი მერყეობდა 11 - დან 14 წლამდე. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 105 მოსწავლემ, აქედან 52 მოსწავლე იყო ინტეგრირებული კლასის მქონე სკოლიდან, (21 გოგო, 31 ბიჭი), ხოლო 53 მოსწავლე - ტიპიური საჯარო სკოლიდან (26 გოგო, 27 ბიჭი).

დამოკიდებულებების შესაფასებლად გამოყენებულ იქნა „ ჩედოკი - მაკმასტერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისადმი დამოკიდებულებების შესავალი“ ნახევრად - სტრუქტურირებული კითხვარი. (“Chedoke-McMaster Attitudes Towards Children with Handicaps (CATCH) scale”)